

მოხმარების ინსტრუქცია
ინფორმაცია მომხმარებლისთვის
DULOXETIN AAA-PHARMA 30მგ ნაწლავში ხსნადი მყარი კაფსულა

დულოქსეტინი

მედიკამენტის გამოყენებამდე ყურადღებით გაეცანით მოხმარების ინსტრუქციას.

- შეინახეთ ინსტრუქცია, შესაძლებელია კიდევ დაგჭირდეთ მისი წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს მედიკამენტი თქვენ დაგენიშნათ ინდივიდუალურად. ნუ გადასცემთ მას მესამე პირს, შესაძლებელია პრეპარატმა ზიანი მიაყენოს პაციენტს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მას მსგავსი სიმპტომები ახასიათებს.
- თუ აღნიშნული გვერდითი მოვლენებიდან თქვენზე რომელიმე გამოვლინდება ან ადგილი ექნება ისეთ გვერდით მოვლენას, რომელიც არ არის აღწერილი ინსტრუქციაში, შეატყობინეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

მოხმარების ინსტრუქციამოიცავს შემდეგი ინფორმაცია:

1. რას წარმოადგენს დულოქსეტინ ააა-ფარმა და რისთვის გამოიყენება ის?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღების წინ?
3. როგორ გამოიყენება დულოქსეტინ ააა-ფარმა?
4. რა გვერდითი მოვლენებია მოსალოდნელი?
5. როგორ შევინახოთ დულოქსეტინ ააა-ფარმა?
6. დამატებითი ინფორმაცია

1. რა არის დულოქსეტინ ააა-ფარმა და რისთვის გამოიყენება ის?

დულოქსეტინ ააა-ფარმა შეიცავს აქტიურ ნივთიერებას დულოქსეტინს. დულოქსეტინ ააა-ფარმა ზრდის ნერვულ სისტემაში სეროტონინის და ნორადრენალინის შემცველობას.

მოზრდილებში დულოქსეტინ ააა-ფარმა გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:

- დეპრესიული დაავადებები
- შიშის შეგრძნება და ნერვოზი
- ტკივილები დიაბეტური ნევროპათიის დროს (წვა, ჩხვლეტა, ელექტროშოკის მსგავსი სიმპტომები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტულ ადგილას შეგრძნების დაკარგვა ან შეხებით, სიცივით, სიცხით გამოწვეული ტკივილი)

დულოქსეტინ ააა-ფარმა გამოიყენება დეპრესიული დაავადებებისა და შიშების სამკურნალოდ. დულოქსეტინ ააა-ფარმა მოქმედებას იწყებს მკურნალობის დაწყებიდან 2 კვირაში. ზოგჯერ შეიძლება მოქმედების ვადა 2-4 კვირამდე გაგრძელდეს. მიმართეთ ექიმს, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ვერ იგრძენით უკეთესობა. შესაძლოა თავის უკეთ გრძნობის შემთხვევაშიც ექიმმა კვლავ დაგინიშნოს დულოქსეტინ ააა-ფარმა, სიმპტომების განმეორების თავიდან აცილების მიზნით.

ტკივილების თანხლებით მიმდინარე დიაბეტური ნევროპათიის მქონე პაციენტებში წამლის მოქმედებას შეიძლება დასჭირდეს რამდენიმე კვირა. ერთი თვეში თუ ვერ იგრძენით უკეთესობა, მიმართეთ ექიმს.

2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღების წინ?

დულოქსეტინ ააა-ფარმა არ უნდა მიიღოთ შემდეგ შემთხვევებში:

- ალერგიული რეაქცია დულოქსეტინის ან მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი სხვა შემადგენელი ნივთიერებების მიმართ
- ღვიძლის დაავადება
- თირკმელების მძიმე დაავადება
- თუ იღებთ ან ბოლო 14 დღის განმავლობაში იღებდით სხვა მონოამინოქსიდურ ინჰიბიტორებს (MAO-ბლოკატორებს) (იხ. „დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება სხვა პრეპარატებთან ერთად“).
- თუ იღებთ ფლუოქსამინს, რომელიც ძირითადად დეპრესიის სამკურნალოდ გამოიყენება, აგრეთვე ციპროფლოქსაცინს ან ენოქსაცინს, რომელიც სხვადასხვა ინფექციების სამკურნალოდ გამოიყენება.

მიმართეთ ექიმს თუ გაწუხებთ ჰიპერტონია ან გულის დაავადება. ექიმი გადაწვეტს, მიიღოთ თუ არა დულოქსეტინ ააა-ფარმა.

განსაკუთრებული სიფრთხილე და უსაფრთხოების ზომები

ქვემოთ ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც არ არის რეკომენდირებული დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება. მკურნალობის დაწყებამდე მიმართეთ ექიმს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ იღებთ დეპრესიის საწინააღმდეგო სხვა პრეპარატებს (იხ. „დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება სხვა პრეპარატებთან ერთად“).
- თუ იღებთ მცენარეულ პრეპარატს, კრაზანას (*Hypericum perforatum*)
- თირკმელების დაავადების დროს
- გაწუხებთ ან გაწუხებდათ ეპილეპტიური შტევეები
- გაწუხებთ მანია
- გაწუხებთ მანიაკალურ-დეპრესიული დაავადება
- გაწუხებთ თვალის დაავადება, როგორცაა მაგ: გლაუკომა
- არსებობს სისხლში ნატრიუმის დაბალი შემცველობის რისკი (მაგ: თუ იღებთ დიურეტიკს, განსაკუთრებით თუ ხართ უფროსი ასაკის).
- პარალელურად თუ მკურნალობთ ისეთი პრეპარატით, რაც აზიანებს ღვიძლს.

დულოქსეტინ ააა-ფარმას აქტიური ნივთიერებას - დულოქსეტინს შეიცავენ სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები: ტკივილები დიაბეტური ნეიროპათიის დროს, დეპრესიული დაავადებები, შიშები და შარდის შეუკავებლობა.

ამ პრეპარატებთან ერთად პარალელურად დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება არ არის რეკომენდირებული. მიმართეთ ექიმს თუ დულოქსეტინის შემცველ რაიმე პრეპარატს იღებთ. დულოქსეტინ ააა-ფარმამ შეიძლება გამოიწვიოს შინაგანი მოუსვენრობა ან სისუსტე, წყნარად ჯდომის ან დგომის სურვილი. ამის შესახებ უნდა აცნობოთ ექიმს.

სუიციდზე ფიქრი და დეპრესიის ან შიშების გართულება

თუ გაქვთ დეპრესია და/ან გაწუხებთ შიშები, შესაძლოა ზოგჯერ გაგიელვოთ თავში ფიქრმა, საკუთარი თავის დაზიანების ან სუიციდის ჩადენის შესახებ. მსგავსი აზრები შესაძლოა ანტიდეპრესანტების მიღების პირველ ეტაპზე გაგიძლიერდეთ, რადგან აღნიშნულ პრეპარატებს სჭირებათ 2 კვირა ან მეტი, რომ იმოქმედონ.

მსგავსი აზრი შესაძლოა მოგივიდეთ, თუ თქვენ

- ადრე ერთხელ მაინც გქონიათ თვითმკვლელობის და საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების მცდელობა
- ხართ ახალგაზრდა. კლინიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სუიციდის მცდელობა ხშირია 25 წლამდე ახალგაზრდებში, ვისაც აწუხებს ფსიქიური აშლილობა და მკურნალობს ანტიდეპრესანტით.

როგორც კი გაიფიქრებთ თვითმკვლელობაზე ან საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებაზე, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ახლომდებარე საავადმყოფოს.

აგრეთვე შესაძლებელია დაგეხმაროთ, თუ თქვენ მოუყვებით თქვენს მეგობარს ან ნათესავს, რომ გაწუხებთ დეპრესია. თხოვეთ ანოტაციის წაკითხვა. მოითხოვეთ თქვენი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეგატყობინოთ თქვენ ამის შესახებ.

ბავშვები და 18 წლამდე მოზარდები

ჩვეულებრივ ბავშვებში და 18 წლამდე მოზარდებში დულოქსეტინ ააა-ფარმა არ ინიშნება. ამასთანავე უნდა იცოდეთ, რომ 18 წლამდე მოზარდებში ამ ჯგუფის მედიკამენტის მიღება წარმოქმნის გვერდითი მოვლენების, როგორცაა სუიციდი, აგრესია, დიდ რისკს. აქედან გამომდინარე ექიმმა დულოქსეტინ ააა-ფარმა 18 წლამდე პაციენტებში დიდი სიფრთხილით უნდა დანიშნოს. თუ ექიმმა 18 წლამდე პაციენტს დაუნიშნა დულოქსეტინ ააა-ფარმა და თქვენ გსურთ ამის შესახებ საუბარი, მიმართეთ ხელახლა თქვენს ექიმს. თქვენ უნდა აცნობოთ ექიმს, თუ 18 წლამდე პაციენტს, რომელიც დულოქსეტინ ააა-ფარმას იღებს, რომელიმე ზემოხსენებული სიმპტომი ახასიათებს ან მდგომარეობა გაუუარესდა. ამასთანავე აღნიშნული პრეპარატი ამ ასაკში ხანგრძლივი მიღება თუ როგორ მოქმედებს ზრდაზე, მომწიფებაზე, განვითარებაზე, არ არის ცნობილი.

დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება სხვა პრეპარატებთან ერთად

გთხოვთ აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს, თუ თქვენ იყენებთ სხვა მედიკამენტს ან ცოტა ხნის წინ მიიღეთ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს პრეპარატი გაიცემა ურეცეპტოდ.

თქვენი ექიმი გადაწყვეტს, უნდა მიიღოთ თუ არა დულოქსეტინ ააა-ფარმა სხვა პრეპარატთან ერთად. ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ დაიწყეთ ან შეწყვიტოთ წამლის მიღება, თუნდაც ეს იყოს მცენარეული სამკურნალო საშუალება. აცნობეთ ექიმს თუ ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე პრეპარატს იღებთ:

მონოამინოქსიდეური ინჰიბიტორები (MAO-ბლოკატორები):

არ შეიძლება დულოქსეტინ ააა-ფარმა ს მიღება MAO-ბლოკატორის ჯგუფის პერაპარტებთან ერთად, რომელიც გამოიყენება დეპრესიის სამკურნალოდ. აცნობეთ ექიმს, თუ ამ ჯგუფის პრეპარატი ბოლო 14 დღის განმავლობაში გაქვთ მიღებული. MAO-ბლოკატორის ჯგუფის პრეპარატებია მაგ.: მოკლობემიდი (ანტიდეპრესანტი) და ლინეზოლიდი (ანტიბიოტიკი). დულოქსეტინ ააა-ფარმა ს MAO-ბლოკატორის ჯგუფის პერაპარტებთან ერთად მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლისთვის საშიში რეაქციები. თუ თქვენ MAO-ბლოკატორის ჯგუფის პრეპარატებს იღებდით, დასრულებიდან 14 დღე კიდევ უნდა დაიცადოთ ვიდრე დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღებას დაიწყებთ. ხოლო დულოქსეტინ ააა-ფარმათი მკურნალობის დასრულებიდან 5 დღეში შეგიძლიათ მიიღოთ MAO-ბლოკატორის ჯგუფის პერაპარტები.

პრეპარატები, რომლებიც ძლიანობას იწვევენ:

ამ ჯგუფს განეკუთვნება ექიმის მიერ გამოწერილი პრეპარატები, მათ შორის ბენზოდიაზეპინი, ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი, ანტიფსიქოზური პრეპარატები, ფენობარბიტალი და ანტიჰისტამინური პრეპარატები.

პრეპარატები, რომლებიც სეროტონინის დონის მატებას უწყობენ ხელს:

ტრიპტანი, ტრამადოლი, ტრიპტოფანი, სეროტონინის სელექციური უკუმიტაცების ინჰიბიტორი (მაგ.: პაროქსეტინი და ფლუოქსეტინი), სეროტონინის და ნორადრენალინის უკუმიტაცების ინჰიბიტორი (როგორცაა მაგ.: ვენლაფაქსინი), ტრიციკლური ანტიდეპრესანტები (მაგ.: კლომიპრამინი, ამიტრიპტილინი), პეთიდინი, კრაზანა და MAO-ინჰიბიტორები (მაგ.: მოკლობემიდი და ლინეზოლიდი).

ეს პრეპარატები ზრდიან გვერდითი მოვლენების რისკს. ამ პრეპარატებთან ერთად დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღებისას თუ შეამჩნევთ რაიმე უჩვეულო ნიშნებს, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

ორალურად მისაღები ანტიკოაგულანტები და თრომბოციტების აგრეგაციის ინჰიბიტორები:

სისხლის გათხელების პრეპარატები ან სისხლის შედედების ინჰიბიტორები. ეს მედიკამენტები ზრდიან სისხლდენის რისკს.

დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება საკვებთან, უალკოჰოლო და ალკოჰოლიან სასმელთან
დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღების პერიოდში სიფრთხილე გამოიჩინეთ ალკოჰოლის მიმართ.

ორსულობა და ლაქტაცია

აცნობეთ ექიმს თუ ბავშვი გყავთ ძუძუთი კვებაზე, ხართ ორსულად, ვარაუდობთ ან გეგმავთ ორსულობას.

აცნობეთ ექიმს თუ თქვენ:

- დულოქსეტინ ააა-ფარმათი მკურნალობის პერიოდში დაფეხმძიმდით ან გეგმავთ ორსულობას. ასეთ შემთხვევაში დულოქსეტინ ააა-ფარმა უნდა მიიღოთ მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, რადგან პრეპარატმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს ნაყოფს.

დარწმუნდით, რომ თქვენი ექიმი და/ან გინეკოლოგი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ თქვენ გადიხართ მკურნალობას დულოქსეტინ ააა-ფარმათი. ორსულობის პერიოდში მსგავსი პრეპარატების მიღებამ შეიძლება ახალშობილს ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნას, როგორცაა პირველადი ან მუდმივი პულმონალური ჰიპერტონია, რაც გამოიხატება შემდეგი სიმპტომებით: ახალშობილი სუნთქავს სწრაფად და აქვს ლურჯი ფერის კანი. სიმპტომები როგორც წესი ვლინდება დაბადებიდან პირველ 24 საათში. ასეთ შემთხვევაში მიმართეთ ექიმს და/ან გინეკოლოგს.

თუ თქვენ დულოქსეტინ ააა-ფარმას ორსულობის ბოლო ეტაპზე იღებთ, შესაძლებელია თქვენს შვილს დაბადებისას გარკვეული სიმპტომები აღენიშნოს. ეს სიმპტომები ვლინდება როგორც წესი დაბადებისას ან დაბადებიდან რამდენიმე დღეში. ეს სიმპტომებია: მოდუნებული კუნთები, კანკალი, ნერვოზული მოუსვენრობა, კვების პრობლემა, გართულებული სუნთქვა და კრუნჩხვითი შეტევები. ასეთ შემთხვევაში მიმართეთ ექიმს და/ან გინეკოლოგს.

- აცნობეთ ექიმს, თუ ბავშვი გყავთ ძუძუთი კვებაზე. ლაქტაციის პერიოდში არ არის რეკომენდირებული დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება. კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან ან ფარმაცევტთან.

მანქანის მართვა ან დანადგარებთან მუშაობა

დულოქსეტინ ააა-ფარმამ შესაძლოა გამოიწვიოს სისტე და თავბრუსხვევა. მანქანის მართვის ან დანადგარებთან მუშაობის დაწყებამდე დარწმუნდით, თუ როგორ მოქმედებს თქვენზე დულოქსეტინ ააა-ფარმა.

დულოქსეტინ ფარმა შეიცავს საქაროზას

პრეპარატის მიღებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან, თუ შაქრის რომელიმე სახეობის მიმართ გაქვთ აუტანლობა.

3. დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღების წესი

მიიღეთ პრეპარატი ექიმის დანიშნულებისამებრ. დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

დეპრესიული დაავადებების და დიაბეტური პოლინეიროპათიით გამოწვეული ტკივილების დროს:

თუ ექიმის მიერ სხვაგვარად არ გაქვთ დანიშნული, ჩვეული დოზა შეადგენს 60მგ დღეში ერთხელ. ექიმი შეგიჩვენებთ შესაბამის დოზას.

შიშების დროს:

თუ ექიმის მიერ სხვაგვარად არ გაქვთ დანიშნული, საწყისი ჩვეული დოზა შეადგენს 30მგ დღეში ერთხელ. შემდგომ დოზა იზრდება დღეში ერთხელ 60მგ-მდე. ექიმი შეგიჩვენებთ შესაბამის დოზას. დრიური დოზის გაზრდა შესაძლებელია 120მგ-მდე.

დულოქსეტინ ააა-ფარმა მიიღება ორალურად, გადაყლაპეთ მთლიანად, არ დალეჭოთ კაფსულა და მიაყოლეთ წყალი. დულოქსეტინ ააა-ფარმა შეგიძლიათ მიიღოთ ჭამის წინ ან შემდეგ. ეცადეთ კაფსულები მიიღოთ დღის ერთიდაიმავე მონაკვეთში.

დულოქსეტინ ააა-ფარმათი მკურნალობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ექიმი. ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ დაასრულოთ მკურნალობა ან არ შეცვალოთ დოზები. დანიშნულებისამებრ მკურნალობის ჩატარება მნიშვნელოვანია თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მკურნალობის გარეშე შესაძლოა გართულდეს თქვენი მდგომარეობა და დაგვიანებული მკურნალობა გაართულოს.

დულოქსეტინ ააა-ფარმას დიდი დოზით მიღება

ზედმეტი დოზის მიღების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს. დიდი დოზირების შემთხვევაში შესაძლოა გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომები: ძილიანობა, კომა, სეროტონინის სინდრომი (ისეთი რეაქციები როგორცაა: ბედნიერების შეგრძნება, გონების დაკარგვა, შენელებული რეაქციები, შფოთვა, სიმთვრალის შეგრძნება, ტემპერატურა, ოფლიანობა ან კუნთების გაშეშება), კრუნჩხვითი შეტევა, გულისრევა, ტაქიკარდია.

თუ დაგავიწყდათ დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღება

თუ დაგავიწყდათ დოზის მიღება, დალიეთ იგი გახსენებისთანავე. თუ უკვე მომდევნო დოზის მიღების დროა, გამოტოვეთ დაგვიწყებული დოზა და განაგრძეთ პრეპარატის მიღება ჩვეულ რეჟიმში. არ მიიღოთ ორმაგი დოზა. არ მიიღოთ იმაზე მეტი დოზა, ვიდრე ექიმის მიერ გაქვთ დანიშნული.

დულოქსეტინ ააა-ფარმას მიღების შეწყვეტა

კაფსულების მიღება არ შეწყვიტოთ ექიმთან კონსულტაციის გარეშე, მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი. თუ ექიმი ჩათვლის რომ არ გჭირდებათ ხანგრძლივი

მკურნალობა, ის თვითონ შეგიძლირებთ დოზას მინიმუმ ორი კვირის მანძილზე, ვიდრე შეწყვიტავთ მკურნალობას.

ზოგ პაციენტში, რომელთაც ერთბაშად დაასრულეს მკურნალობა, გამოვლინდა შემდეგი სიმპტომები:

- თავბრუსხვევა, კანკალი, ჟრიალი, უძილობა (კომმარული სიზმრები), სისუსტე, ძილიანობა, შფოთვა, შიშის შეგრძნება, გულისრევა, ღებინებათავის და კუნთების ტკივილი, დიარეა, ოფლიანობა.

აღნიშნული სიმპტომები თავისით ქრება რამდენიმე დღეში. ჩივილების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. გვერდითი მოვლენები

სხვა პრეპარატების მსგავსად, აღნიშნულ პრეპარატსაც გააჩნია გვერდითი მოვლენები, რომლებიც ყველას შემთხვევაში არ ვლინდება. როგორც წესი ეს გვერდითი მოვლენები სუსტი ან საშუალო სირთულისაა და ქრება თავისით რამდენიმე კვირაში.

ძალიან ხშირად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები (შეიძლება გამოვლინდეს 10-დან 1-ზე მეტ პაციენტში)

- თავის ტკივილი, ძილიანობა
- გულისრევა, პირის სიმშრალე

ხშირად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები (შეიძლება გამოვლინდეს 10-დან 1 პაციენტში)

- მადის დაკარგვა
- უძილობა, შფოთვა, დაქვეითებული პოტენცია, შიში, ანორგაზმია, უჩვეულო სიზმრები
- თავბრუსხვევა, უინციტივობა, კანკალი, სმენის დაქვეითება, ქავილი
- მხედველობის დაქვეითება
- ტინიტუსი
- გულისცემა
- ჰიპერტონია, სიწითლე
- ხშირი მთქნარება
- ყაზობა, დიარეა, მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, გულძმარვა, შებერილობა, საჭმლის მონელების დარღვევა
- მომატებული ოფლიანობა, გამონაყარი
- კუნთების ტკივილი და გაშეშება
- მტკივნეული, ხშირი შარდვა
- ერექციის დარღვევა, სპერმის გამოყოფის დარღვევა
- სისუსტე

- წონაში კლება

ბავშვებში და 18 წლამდე მოზარდებში, რომლებიც ანდიდეპრესანტებით მკურნალობენ, ვლინდება წონაში კლების სიმპტომი მკურნალობის საწყის ეტაპზე. 6 თვიანი მკურნალობის შემდეგ როგორც წესი წონა ნორმალიზდება.

შედარებით იშვიათად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები

(შეიძლება გამოვლინდეს 100-დან 1 პაციენტში)

- ყელის ანთება, რაც ყელის ჩახრინწვას იწვევს
- სუიციდური აზრები, უძილობა, კბილების კრაჭუნი, ორიენტაციის დაკარგვა, ინდეფერენტულობა
- კუნთების უეცარი გაშეშება, მოუსვენრობა, შფოთვა, ნერვოზი, კონცენტრაციის დაკარგვა, გემოს შეგრძნების დარღვევა, კოორდინაციის დარღვევა, კუნთების უნებლიე მოძრაობა, უძილობა, მოუსვენარი ფეხების სინდრომი
- გაფართოებული გუგები, მხედველობის დაქვეითება
- თავბრუსხვევა, ყურების ტკივილი
- ტაქიკარდია და/ან არითმია
- გულყრა, თავბრუსხვევა, ხელის და ფეხის თითების შეციება
- ყლაპვის გაძნელება, სისხლდენა ცხვირიდან
- სისხლიანი ღებინება ან შავი განავალი, კუჭ-ნაწლავის ანთება, ყლაპვის გაძნელება
- ღვიძლის ანთება, რაც მუცის ტკივილს და კანის და თვალების სიყვითლეს იწვევს
- ღამით ოფლიანობა, ჭინჭრის ციება, ცივი ოფლი, ჰიპერმგრძობელობა სინათლის მიმართ, სისხლჩაქცევები
- კუნთების გაშეშება და სპაზმი
- გართულებული შარდვა, ღამე შარდვა, გახშირებული შარდვა, მცირე რაოდენობით შარდის გამოყოფა
- უჩვეულო ვაგინალური სისხლდენა, დარღვეული მენტრუალური ციკლი, ტკივილი მენტრუაციის დროს, საკვერცხეების ტკივილი
- მკერდის ტკივილი, სიცივის შეგრძნება, წყურვილი, კანკალი, სიცხის შეგრძნება
- წონაში მატება
- დულოქსეტინ ააა-ფარმამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი გვერდითი მოვლენები, რომელსაც თქვენ ვერ შეამჩნევთ, მაგალითად: ღვიძლის ფერმენტების ან სისხლში კალიუმის, კრეატინინის ფოსფოკინაზას, შაქრის ან ქოლესტერინის დონის მომატება.

იშვიათად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები

(შეიძლება გამოვლინდეს 1000-დან 1 პაციენტში)

- მძიმე ალერგიული რეაქცია, გართულებული სუნთქვა ან თავბრუსხვევა, ენის ან ტუჩების შეშუპება

- ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, რამაც შეიძლება დადლილობა ან წონაში მატება გამოიწვიოს. სითხის დაკარგვა, ნატრიუმის დაბალი დონე (ძირითადად გვხვდება ხანდაზმულ პაციენტებში და ვლინდება ისეთი სიმპტომებით, როგორცაა: თავბრუსხვევა, სისუსტე, ძილიანობა, დადლილობა ან ავად ყოფნის შეგრძნება, შედარებით მძიმე სიმპტომებია: გულყრა, კრუნჩხვითი შეტევა, ფეხებში სისუსტე), ანტიდიურეტიკული ჰორმონის არადეჟვატური სინდრომი
- სუიციდური ქმედება, მანია (ჰიპერაქტივობა და უძილობა), ჰალუცინაცია, აგრესია და სიბრაზე
- სეროტონინის სინდრომი (ისეთი იშვიათი რეაქციები როგორცაა: ბედნიერების შეგრძნება, გონების დაკარგვა, შენელებული რეაქციები, შფოთვა, სიმთვრალის შეგრძნება, ტემპერატურა, ოფლიანობა ან კუნთების გაშეშება), კრუნჩხვითი შეტევა
- გლაუკომა
- ანთება პირის ღრუში, ვარდისფერი განავალი, უსიამოვნო სუნის პირში
- ღვიძლის უკმარისობა, კანის ან თვალის სიყვითლე
- სტივენს ჯონსონის სინდრომი (წყლულის გაჩენა კანზე, პირის ღრუში, თვალის და გაიტალიების არეში), მწვავე ალერგიული რეაქცია, როგორცაა სახის შეშუპება, ანგიოედემა
- საღეჭი კუნთების სპაზმი
- შარდის უჩვეულო სუნის
- მენოპაუზალური სიმპტომები, ქალებში და მამაკაცებში რძის სეკრეცია

გვერდითი მოვლენების შესახებ შეტყობინება

გვერდითი მოვლენების შემჩნევის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს. ექიმს მიმართეთ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ შეამჩნევთ ისეთ სიმპტომებს, რაც ანოტაციაში არ არის მითითებული. ასეთი გვერდითი მოვლენების შესახებ შეგიძლიათ განაცხადი გააკეთოთ მედიკამენტებისა და სამედიცინო პროდუქტის ფედერალურ სამსახურში ფარმაკოვიგილანცის განყოფილებაში

კურტ-გეორგ-კისინგერის ხეივანი 3, 53175 ბონი, გერმანია, ვებგვერდი: www.bfarm.de

ამით თქვენ დაეხმარებით გვერდითი მოვლენების შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიებას.

5. დულოქსეტინ ააა-ფარმას შენახვის პირობები

შეინახეთ პრეპარატი ბავშვებისგან დაცულ ადგილას.

პრეპარატის ვარგისიანობის ვადა მითითებულია შეფუთვაზე. არ გამოიყენოთ პრეპარატი ვადის გასვლის შემდეგ. ვადა იწურება მითითებული თვის ბოლო დღეს.

შეინახეთ 30°C

შეინახეთ პრეპარატი ორიგინალ შეფუთვაში, რათა დაიცვათ ნესტისგან.

არ გადაადგოთ პრეპარატი კანალიზაციაში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

შეეკითხეთ ფარმაცევტს პრეპარატის უტილიზაციის შესახებ. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ ბუნების დაცვას.

6. შეფუთვის შემადგენლობა და დამატებითი ინფორმაცია

რას შეიცავს დულოქსეტინ ააა-ფარმა

- აქტიური ნივთიერებაა დულოქსეტინი

დულოქსეტინ ააა-ფარმა 30მგ:

ნაწლავში ხსნადი თითო მყარი კაფსულა შეიცავს 30მგ დულოქსეტინს (როგორც ჰიდროქლორიდს).

- დამხმარე ნივთიერებებია:

კაფსულის შიგთავსი: ჰიპრომელოზა, Hypromelloseacetatsuccinat, სუკროზა, შაქარი, ტალკი, ტიტანის დიოქსიდი (E 171), Triethylcitrat,

კაფსული გარსი: ჟელატინი, ტიტანის დიოქსიდი (E 171), Indigocarmin (E132), რკინის (III) ჰიდროქსიდის ოქსიდი x H₂O (E172) (მხოლოდ დულოქსეტინ ააა-ფარმა 60მგ)

დულოქსეტინ ააა-ფარმას გარეგნული სახე და შგთავსი

დულოქსეტინ ააა-ფარმა ხელმისაწვდომია 30მგ და 60მგ.

დულოქსეტინ ააა-ფარმა 30მგ არის მყარი ჟელატინის კაფსულა, ზედა ნაწილი - მუქი ლურჯი ხოლო ქვედა ნაწილი - თეთრი ფერის.

თითოეული კაფსულა შეიცავს პატარა ბურთულეების ფორმის დულოქსეტინის ჰიდროქლორიდს, რომელიც იცავს კუჭის წვენს.

შეფუთვაშია 7, 14, 28, 30, 56, 60, 84, 96, 100 და 500 მყარი კაფსულა.

ყველა ზომის შეფუთვა არ არის ჩამოვსებული რეალიზაციაში.

ფარმაცევტული კომპანია

შპს ააა-ფარმა AAA-PHARMA GmbH

კალვერ შტრ. 7, 71034 ბიობლინგენი, გერმანია

ტელ.: 0800/00 04 433

ფაქსი: 0800/00 04 434

ელ.ფოსტა: info@aaa-pharma.de

მწარმოებელი:

შპს ააა-ფარმა AAA-PHARMA GmbH

კალვერ შტრ. 7, 71034 ბიობლინგენი, გერმანია

ან

Hameln rds a.s

Horna 36, 900 01 Modra, Slowakei

ან

Saneca Pharmaceutical a.s.

Nitrianska 100, 920 27 Hlohovec

Slowakei

წინამდებარე ანოტაცია უკანასკნელად შესწორდა 2015 წლის სექტემბერში

